პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

შაბათი,
17
აგვისტო
1935 წ.
№ 191 (4347)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში

- მივცეთ წითელ არმიას ღირსეული ცვლა (მეთაური).
- ტრანსპორტი ახალი ამოცანების წინაშე („პრავდის“ მეთაური).
- კომინტერნის მე-7 მსოფლიო კონგრესი.
- ავიაციის მე-3 საკავშირო დღისათვის.
- პატარა ფელეტონი: დახავსებული მოხელეები.
- წითელი არმიის დელეგაცია პრაგაში.
- მდგომარეობა გერმანიაში.
- კატასტროფა ჩრდილოეთიტალიაში.

მივცეთ წითელ არმიას ღირსეული ცვლა

მუშურ-გლეხური წითელ არმიაში გაწვევა ჩვენში ყოველწლიურად საყოველთაო სახალხო ზეიმად არის გადაქცეული. სიხარულით სავსე ჯანსაღი ახალგაზრდობა მიდის არმიაში, როგორც საუკეთესო სკოლაში.

სოციალისტური სამშობლოს არმია გარემოცულია მშრომელთა უსაზღვრო სიყვარულით და პატივისცემით. არც ერთ სხვა ქვეყანაში არ სარგებლობს არმია ხალხის ასეთი სიყვარულით.

გაიხსენეთ მეფის დროის ჯარში გაწვევა; მოთქმა, ტირილი ოჯახის აწიოკება — აი რას ნიშნავდა მეფის ჯარში გაწვევა. იმალებოდნენ ჯარში წასვლას. წასულს კი უკან დაბრუნების იმედი არ ჰქონდა. მშობლები და ნაცნობ-ნათესავები მას თითქოს სამუდამოდ ეთხოვებოდნენ. და მართლაც, ვინც ბრუნდებოდა, ისიც დასახიჩრებული და განადგურებული იყო.

ჩვენს წითელ არმიაში სიხარულით მიდის ახალგაზრდობა, რომელმაც იცის, რომ წითელი არმია სწავლისა და მამაცობის სკოლაა.

გადახედეთ წითელარმიიდან დაბრუნებულებს: ისინი სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე მოწინავეთა რიგებში დგანან. წითელ არმიიდან ბრუნდებიან სამხედრო ცოდნით შეიარაღებული, პოლიტიკურად მომზადებული, და ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანები.

იყო სოციალისტური სამშობლოს დამცველი — ეს არის უდიდესი საპატიო და საამაყო საქმე. სწორედ ამიტომ ამოწმებენ ყოველმხრივ ქარხნებში და კოლმეურნეობებში წითელ-არმიაში გასაწვევთ, აშკარავებენ კლასობრივად მიუღებელ ელემენტებს, რომელთათვისაც პროლეტარული რევოლუციის არმიის კარები დახურულია.

წელს ჩვენს წითელ არმიაში მიდის 1913 წლის გაწვევა მუშების, კოლმეურნეების, მოსამსახურეების შვილები, რომლებიც ოქტომბრის რევოლუციის დღეებში ხუთი წლისაც თუ იქნებოდნენ. მათ არ ახსოვთ „გოროდოვოი“, არ ახსოვთ მშრომელთა გაჭირვება მეფისა და მენშევიკების დროს, განსაკუთრებით მეფის თვითმპყრობელობის ჯარისკაცთა ტანჯვა. ისინი საბჭოთა ხელისუფლების დროს გაიზარდნენ, ამ ხელისუფლებამ აღზარდა მათში უდიდესი სიყვარული სამშობლოსადმი, მისწრაფება ცოდნისა და შრომისადმი, რომელიც ჩვენში გადაქცეულია სახელის, გმირობის და მამაცობის საქმედ.

და წითელ არმიაში მიმდინარე გაწვევას, რომელიც პირველ სექტემბრიდან დაიწყება, ამ გარემოებათა გამო დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

თვითეული პარტიული, კომკავშირული და პროფესიული ორგანიზაციის ამოცანაა — მისცეს წითელ არმიას პოლიტიკურად მტკიცე, მომზადებული და ჯანსაღი ცვლა.

გასულ წელს გაწვევა საქართველოში კარგად ჩატარდა. გაწვევისათვის მუშაობის წარმატების მხრივ ამიერ-კავკასიაში მან პირველობა მიიღო. ეს გარემოება გვავალებს, ხელს კიდევ უფრო მეტი ყურადღება მივაქციოთ წითელ არმიაში გაწვევას.

ამ მხრივ მთელი რიგი რაიონები სანიმუშო მაგალითს გვაძლევენ (ახალქალაქი, ხარაგოული, დუშეთი, გორი, თელავი და აჭარისტანის რაიონები), მაგრამ ბევრგან წითელ ჯარში გაწვევისათვის მზადებას სათანადოთ ვერ აფასებენ. მაგალითად, წალკის, ჩხოროწყუს, ცხაკაიას, ადიგენის, ალბულაღის და კიროვის (ტფილისი) რაიონები. განსაკუთრებით პროფესიული და მთელი რიგი კომკავშირული ორგანიზაციები სუსტად ემზადებიან გაწვევისათვის.

ამოცანა, რომ, წვევამდელთა შორის მოვსპოთ წერა-კითხვის უცოდინარობა ყველგან ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული. ზოგან თავდაცვაავიაქიმის ორგანიზაციებიც სუსტად მუშაობენ წვევამდელებთან.

დრო ცოტა დარჩა და ეს ნაკლი აუცილებლად უნდა გამოსწორდეს. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს თვითეულმა პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციამ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. ის კაზიონური მიდგომა, რომელსაც გასულ წელს ზოგან ადგილი ჰქონდა, როცა გასაწვევს დახასიათებას აძლევდენ ზერელედ, უნდა აღმოვფხვრათ. თვითეული წვევამდელის დახასიათება უნდა გაირჩეს მუშათა და კოლმეურნეთა საერთო კრებებზე; კონკრეტულად უნდა შევისწავლოთ თვითეული წვევამდელი, რათა არ გაგვეპაროს არმიაში კლასობრივად უცხო ელემენტები.

კომკავშირული ორგანიზაციების და თავდაცვაავიაქიმის ორგანიზაციების ამოცანაა მისცენ წითელ არმიას ცვლა, რომელსაც ჩაბარებული ექნება ნიშნები „მზად ვარ შრომისა და თავდაცვისათვის“ და იქნება ვოროშილოვისებური მსროლელი.

გაწვევამდე დარჩენილი დრო მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ. ფართოდ უნდა გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება რაიონებს, სოფლებს, ქარხნებსა და კოლმეურნეობებს შორის გაწვევის უკეთ ჩასატარებლად.

წითელი არმიის დელეგაცია პრაგაში

პრაგა, 14 აგვისტო. წითელი არმიის დელეგაცია, რომელიც პრაგაში იმყოფება, გუშინ ეწვია ნაციონალური თავდაცვის სამინისტროს. აქ დელეგაცია, მიიღო ჩეხო-სლოვაკიის არმიის გენერალურმა ინსპექტორმა გენერალ სიროვიმ; (თავდაცვის მინისტრი შვებულებაშია). გუშინ თავდაცვის სამინისტრომ საბჭოთა სტუმრების პატივსაცემად მოაწყო ბანკეტი, რომელსაც დელეგაციის მთელი შემადგენლობასთან ერთად დაესწრნენ სსრ კავშირის საელჩოს მრჩეველი პრაგაში თუმანოვი და საბჭოთა სამხედრო ატაშე ემელიანოვ-სურიკოვი, ხოლო ჩეხოსლოვაკიის მხრივ — გენერალი სიროვი, გენერალური შტაბის უფროსი გენერალი კრეიჩი, არმიის უმაღლესი ჩინის სხვა მრავალი ოფიცერი და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი პირები. ბანკეტზე გენერალ სიროვმა და შაპოშნიკოვმა ერთმანეთს სიტყვებით მიმართეს.

პრაგა, 14 აგვისტო. წითელი არმიის დელეგაციის ჩამოსვლამ საყოველთაო ინტერესი გამოიწვია.

ჩეხი სოციალისტების პარტიის ორგანო „**ჩესკე სლოვო**“ აღნიშნავს, რომ ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელებს ეწვევნენ წითელი არმიის წარმომადგენელნი. იგი აცხადებს:

„ურთიერთობა ჩვენს არმიებს შორის უფროდაუფრო მჭიდრო ხდება. მაგრამ ეს ურთიერთობა არ ატარებს ისეთ ხასიათს, რომელსაც შეეძლოს ვისიმე შიში შთაუნერგოს, ვინაიდან ორსავე არმიას არა აქვს სხვა დანიშნულება გარდა იმისა, რომ ხელი შეუწყოს მშვიდობიანობის საქმეს, რომელიც ემყარება საბჭოთა კავშირთან დადებულ ჩვენს ხელშეკრულებას ურთიერთ დახმარებაზე. ჩვენ გულითადად მივესალმებით საბჭოთა კავშირის არმიის წარმომადგენელთა ჩამოსვლას პრაგაში და მათი სახით იმ არმიას, რომლის კვალიფიკაციის მაღალი დონე და გასაოცარი ტექნიკური შეიარაღება ხდის მას ერთერთ საუკეთესო არმიად მთელს მსოფლიოში და ამასთან ერთად მშვიდობიანობის დაცვის შესანიშნავ იარაღად. საბჭოთა კავშირმა რამდენიმე წლის განმავლობაში მიაღწია იმას, რაც შეუძლებელი ეგონათ: მან თითქმის არაფრისაგან შექმნა ისეთი არმია, რომელმაც უდიდესი პატივისცემა მოიპოვა, როგორც თავისი ხარისხით, ისე თავისი რაოდენობით. ჩვენი არმიის მიზნები საესებით ემთხვევა საბჭოთა კავშირის არმიის მიზნებს, ისევე, როგორც საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის საგარეო პოლიტიკის მიზნები. ეს მიზნები გამოხატულია სტალინის ცნობილ განცხადებაში, რომ „არც ერთი მტკაველი სხვისი მიწა ჩვენ არ გვინდა, მაგრამ არც ჩვენს მიწას. ჩვენი მიწის არც ერთ გოჯს არავის არ დავუთმობთ“.

სოციალ-დემოკრატიული „**პრავო ლიდუ**“ სწერს:

„ჩეხოსლოვაკიის არმიის დღევანდელ მანევრებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან ამ მანევრებს დაესწრებიან საბჭოთა კავშირის არმიის უმაღლესი სარდლობის შემადგენლობის წარმომადგენელნი, რომელნიც საფრანგეთის, სამხრეთ-სლავიისა და რუმინეთის არმიის გენერალიტეტების წარმომადგენლებთან ერთად პირველად მიიღებენ მონაწილეობას აგრეთვე საგანგებო ვარჯიშობაში, რომელზედაც ზემოაღნიშნული სტუმრები არიან მოწვეულნი. ამით საბჭოთა კავშირი შედის იმ სახელმწიფოთა რიცხვში, რომლებთან ჩვენ გვაქვს ურთიერთობის სრული ნდობა არა მარტო პოლიტიკურს, არამედ სამხედრო დარგშიაც. სიტყვები არ გვყოფნის, რათა საკმაო სიძლიერით ხაზი გავუსვათ, თუ რა უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გარემოებას მშვიდობიანობის უზრუნველყოფისა და ჩეხოსლოვაკიის მომავლისათვის და რამდენად აძლიერებს ეს გარემოება ყველა პატიოსანი მოქალაქის იმედს მშვიდობიანობის დაცვის საქმეში“.

ჩეხთა კლერიკალური პარტიის ცენტრალური ორგანო „**ლიდოვე ლისტი**“ სწერს:

„მიმდინარე წლის მანევრებში საბჭოთა დელეგაციის მონაწილეობა წარმოადგენს იმ ხელშეკრულების ბუნებრივ შედეგს, რომელიც დადებულია ჩეხოსლოვაკიასა და საბჭოთა კავშირს შორის საერთო აგრესორის წინააღმდეგ დაცვის მიზნით. ვინაიდან საბჭოთა დელეგაციის გარდა წინანდებურად მონაწილეობას მიიღებენ აგრეთვე საფრანგეთის, რუმინეთისა და სამხრეთ-სლავიის დელეგაციები, ამიტომ ამ შემთხვევაში პირველად ვხედავთ ერთად თავმოყრილ მშვიდობიანი ფრონტის მოკავშირეებს — საფრანგეთს, მცირე ანტანტას და საბჭოთა კავშირს“.

ლეგიონერთა ორგანო „**ნაროდნი ოსვობოზენი**“ ხაზს უსვამს, რომ **ჩეხოსლოვაკელი ლეგიონერები განსაკუთრებული სიხარულით მიესალმებიან საბჭოელ სტუმრებს.** ვინაიდან ლეგიონერთა უდიდეს უმრავლესობას მრავალი წლის განმავლობაში ჰსურდა საბჭოთა კავშირთან და მის არმიასთან ისეთი მეგობრული ურთიერთობის დამყარება, როგორიც ამჟამად არსებობს“. (ადს)

„სსრკ მეგობართა კავშირის“ წევრობისთვის

ბერლინი, 14 აგვისტო. დანციგის სასამართლომ „სსრკ მეგობართა კავშირის“ წევრობისათვის 4 კაცს ერთად მიუსაჯა 4 წლისა და 9 თვის ციხე. მათ შორის არის სენატის ყოფილი დეპუტატი კომუნისტი რეცკოვსკი. (ადს).

კომინტერნის VII მსოფლიო კონგრესი

15 აგვისტოს დილის სხდომის დღიური

15 აგვისტოს დილის სხდომას ხსნის თავმჯდომარე ამხ. **ბუენო** (კუბის კომპარტია). გრძელდება კამათი ამხ. ერკოლის მოხსენების გამო. პირველი გამოდის ამხ. **ლი გუანი** (ჩინეთის კომპარტია), რომელსაც მთელი კონგრესი მქუხარე ტაშით ხვდება. მისი სიტყვა აღსავსეა მკაფიო და კონკრეტული მაგალითებით და ეპიზოდებით ჩინეთის წითელი არმიის გმირული ბრძოლიდან. იგი მოგვითხრობს დასავლეთისაკენ ჩინეთის წითელი არმიის ძლევამოსილი გადასვლის ეტაპებზე, რომელიც მან მოახდინა არაჩვეულებრივად მძიმე პირობებში. ამხ. ლი გუანი აჯამებს ამ გადასვლის და ჩან კაი-შის მე-6 ლაშქრობის განადგურების შედეგებს. ეს შედეგები,—აცხადებს იგი,—მოწმობს იმპერიალიზმისა და გომინდანის დამარცხებას და ჩინეთის საბჭოების და ჩინეთის წითელი არმიის გამარჯვებას, ისინი მოწმობენ რომ პარტია და საბჭოთა ჩინეთის მთავრობა არ შეაშინა სიძნელეებმა, ისინი არ გაურბოდნენ ამ სიძნელეებს, არამედ, პირიქით, ხვდებოდნენ მათ, რათა დაეძლიათ ისინი.

რაში მდგომარეობს ჩინეთის წითელი არმიის გამარჯვებათა საიდუმლოება? — კითხულობს ამხ. ლი გუანი. ეს საიდუმლოება, უწინარეს ყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ ჩინეთის წითელი არმია წარმოადგენს ისეთ არმიას, რომელმაც იცის, თუ რისთვის იბრძვის იგი. წითელ არმიაში ბოლო ეღება წერა-კითხვის უცოდინარობას, ხოლო პოლიტსწავლება ყოველდღე სწარმოებს და იშვიათად სწყდება ლაშქრობისა და ბრძოლის დროსაც კი. წითელი არმიის სოციალური შემადგენლობა: მუშები—30 პროც., გლეხები—68 პროც., წითელი არმია არა მარტო მტკიცედ იცავს დისციპლინას თავის რიგებში, არა მარტო კეთილსინდისიერად ეპყრობა მოსახლეობას, არამედ ყოველნაირად ეხმარება: გლეხებს—მიწის განაწილებაში, თესვაში, მოსავლის აღებასა და ყამირის გატეხვაში, მუშებს—ხელფასის მომატებისა და რვა საათის სამუშაო დღის შემოღებისათვის ბრძოლაში.

ჩინეთის წითელი არმიის გამარჯვებათა საიდუმლოება, — განაგრძობს ამხ. ლი გუანი,—მდგომარეობს აგრეთვე მისი სტრატეგიისა და ტაქტიკის ოსტატობაში და მის გმირობაში. ნაკლებ როლს არ თამაშობს ისიც, რომ წითელ არმიას იცავენ და მხარს უჭერენ მოსახლეობის უფართოესი მასები. წითელ არმიას განუყოფელად ხელმძღვანელობს ჩინეთის კომუნისტური პარტია. კომუნისტებისა და კომკავშირელების საშუალებით პარტია ახორციელებს თავის ხელმძღვანელობას წითელ არმიაში. ახეთი ახალი ტიპის პარტიის, ლენინ-სტალინის პარტიის არსებობა ჩინეთის წითელი არმიის გამარჯვებათა გადამწყვეტი მიზეზია. წითელ არმიას ჰყავს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკთა კადრები, ჰყავს გამოჩენილი სახელმწიფო და სამხედრო მოღვაწეები. ამხ. ლი გუანი ასახელებს საბჭოთა ჩინეთის ისეთ გამოჩენილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეებს, როგორიც არიან ამხანაგები მაო ძე-დუნი, ჩან გო-დაო, სიანინი და სხვები, ისეთ თავგამოდებულ, მამაც და სამხედრო საქმის ნიჭიერ მცოდნეებს, როგორიც არიან ჩინეთის წითელი არმიის მთავარ-სარდალი ამხ. ჩუ დე და წითელი მეთაურები ამხ. პენ დე-ხუაი, ხუო სიან-ძიანი, ხო ლუნი და სხვები.

ჩინეთის წითელი არმიის უახლოესი ამოცანაა,—ამბობს შემდეგ ამხ. ლი გუანი,—ბრძოლის ანტი-იმპერიალისტური ფრონტის გაფართოება. მხოლოდ მაშინ, როცა ჩინეთის შეიარაღებული ძალები გაერთიანებულად გამოვლენ დამპყრობელთა წინააღმდეგ, როცა ყველანი გადაჭრით და უყოყმანოდ ბოლომდე იბრძოლებენ, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი დაკარგულ ტერიტორიათა დაბრუნება, ჩინეთის ხალხის ხსნა ნაციონალური დაღუპვისაგან, ნაციონალური განთავისუფლება.

მთელი კონგრესი ფეხზე დგება და ტაშს უკრავს ამხ. ლი გუანის უკანასკნელ სიტყვებს. დიდხანს გაისმის მისალმების შეძახილები, ჩინეთის გმირული წითელი არმიის მისამართით.

შემდეგ გამოდის ამხ. **ბატისტა** (იტალიის კომპარტია). იგი ლაპარაკობს, რომ მშვიდობიანობას უშუალოდ ემუქრება იტალიის ფაშიზმი, რომელიც აპირებს შეიარაღებული ძალით განახორციელოს თავისი დაპყრობითი იმპერიალისტური პოლიტიკა აბისინიაში. იგი აღნიშნავს, რომ ამასთან დაკავშირებით უდიდესი სამხედრო ხარჯები მთელი სიმძიმით აწვებათ მშრომელებს, რომელთა მატერიალური მდგომარეობა განუწყვეტლივ უარესდება.

შესვენების შემდეგ პირველი ლაპარაკობს ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის დელეგატი ამხ. **შვერმა**. ორატორი თავის სიტყვას აძღვნის ჩეხო-სლოვაკიის საგარეო პოლიტიკის ანალიზს და იმ ამოცანებს, რომლებიც დგას ჩეხო-სლოვაკიის კომპარტიის წინაშე მშვიდობიანობისათვის ბრძოლის დარგში. ორატორი აყენებს კითხვას: როგორ უნდა იბრძოლონ ჩეხო-სლოვაკიის მშრომელმა მასებმა მშვიდობიანობისათვის და გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ? ამ კითხვაზე შემდეგ პასუხს იძლევა: უწინარეს ყოვლისა მთელი ძალღონით და საშუალებებით უნდა იბრძოლონ ჩეხო-სლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობის შენარჩუნებისა და გაღრმავებისათვის, ჩეხო-სლოვაკიასა და საბჭოთა კავშირს შორის დადებული ურთიერთდახმარების პაქტის, შენარჩუნებისა და ცხოვრებაში გატარებისათვის. უკანასკნელი სიტყვები მქუხარე ტაშს იწვევს. ამხ. შვერმა ხაზს უსვამს, რომ აუცილებლად საჭიროა გავითვალისწინოთ საფრთხე გერმანიის ნაციონალ-სოციალისტთა აგენტურის მხრივ თვით ჩეხო-სლოვაკიაში, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ჩეხო-სლოვაკიის არმიაში დიდ როლს თამაშობენ ფაშისტი გენერლები და ოფიცრები. ჩვენ, კომუნისტები,—აცხადებს ამხ. შვერმა,—მოვითხოვთ არმიის დემოკრატიზაციას. ორატორი აცხადებს, რომ ჩეხო-სლოვაკიის კომპარტია მოითხოვს აგრეთვე სახალხო რაზმების ორგანიზაციას ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ განცხადებას კონგრესი ტაშით ხვდება. ჩვენ ჩეხო-სლოვაკიის კომუნისტები, — ამთავრებს სიტყვას ამხ. შვერმა,—ვიბრძვით ანტი-ფაშისტური სახალხო ფრონტისათვის, ჩვენ ვიბრძოლებთ იმის წინააღმდეგ, რომ ჩეხო-სლოვაკია გახდეს ფაშისტური რეაქციის მსხვერპლი და მოექცეს ჰიტლერის ბერლინის ქუსლს ქვეშ.

შემდეგ დიდი აღტყინებით გამსჭვალული, ბრწყინვალე სიტყვით გამოვიდა იმპერიალისტური ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მსოფლიო კომიტეტის კომუნისტური ფრაქციის წარმომადგენელი ამხ. **მაქსი**. მას ლაპარაკს ხშირად აწყვეტინებენ ტაშის ცემით. მთელი რიგი ფაქტიური ცნობებით მან დაგვანახვა, თუ როგორ არის განშტოებული საზღვარგარეთ ფაშისტური პროპაგანდისა და შპიონაჟის ქსელი, რა გამალებით ეწევიან „ფსიქოლოგიურ მობილიზაციას“ ომისათვის გერმანელი ნაციონალ-სოციალისტები.

ჩვენ, — აცხადებს ამხ. მაქსი,—მოვუწოდებთ ყველას, ყველას, ყველას ბრძოლისათვის ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ. ჩვენი ხმა შეისმინეს. კონგრესი მხურვალედ ტაშს უკრავს, როცა ამხ. მაქსი აღნიშნავს, რომ ანტი-ფაშისტურ მოძრაობაში მუშათა მილიონებთან ერთად მონაწილეობენ აგრეთვე თვალსაჩინო ინტელიგენტები, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკები ანრი ბარბიუსის მეთაურობით.

ამხ. მაქსი ჩერდება ანტი-ფაშისტური პროპაგანდის ამოცანებზე ნაციონალ-სოციალისტური აგიტაციისა და პროპაგანდის უაღრეს ორგანიზებულობასთან და ფართო გაქანებასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მოიპოვებიან გერმანული მოსახლეობის თვალსაჩინო ფენები. გერმანიის სამხედრო პროპაგანდაში, — ამბობს ამხ. მაქსი, — დიდი ადგილი უჭირავს ჯარისკაცთა და ახალწვეულთა ფსიქოლოგიურ დამუშავებას. გერმანიის გენერალურმა შტაბმა შექმნა სკოლების, კურსების, ბიბლიოთეკების და პრესის ორგანოთა მთელი ქსელი. ეს პროპაგანდა სათანადოდ უნდა შევაფასოთ. ამხ. მაქსი შემდეგ ხაზს უსვამს, რომ ყველა ანტი-ფაშისტმა უნდა ამხილოს ფაშისტური აგიტაციის დემაგოგია და შესაბამისად მოაწყოს თავისი ანტი-მილიტარისტული პროპაგანდა.

ამხ. მაქსი, ათავებს რა სიტყვას, ამბობს: — კომინტერნის მე-7 კონგრესის ყოველმა დელეგატმა იცის, რომ საბჭოთა ქვეყანა, როგორც ეს ამხანაგმა სტალინმა საკ. კ.პ. (ბ) მე-17 ყრილობაზე სთქვა,— მიისწრაფვის დაიცვას მშვიდობიანობა, მაგრამ ამავე დროს მზად არის გამანადგურებელი პასუხი გასცეს ყველას, ვინც გაბედავს ღორული დინგი შეჰყოს საბჭოთა ბოსტანში. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ღორს დავცხოთ ჯერ კიდევ მანამდე, სანამ იგი საბჭოთა ბოსტანში შეჰყოფდეს თავს.

კონგრესი ამხ. მაქსს მქუხარე ტაშით აცილებს.

დილის სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე შვეიცარიის კომპარტიის დელეგატი **რამეტი**, სამხრეთ-აფრიკის კავშირის კომპარტიის დელეგატი **ჯინი** და ლატვიის კომპარტიის დელეგატი **კრუმინი**. მათ, ისე როგორც წინათ გამოსულმა დელეგატებმა, განაცხადეს, რომ ისინი სავსებით ეთანხმებიან ამხ. **ერკოლის** მოხსენებაში აღნიშნულ ამოცანებს. ისინი შეჩერდნენ ფაშიზმისა და ომის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტულ ამოცანებზე თავის ქვეყნებში.

15 აგვისტოს საღამოს სხდომის დღიური

საღამოს სხდომა გაიხსნა ამხ. **პერლის** თავმჯდომარეობით.

პირველი გამოვიდა ჰოლანდიის კომპარტიის დელეგატი **დე-ლეუვი**, რომელმაც განაცხადა, რომ ჰოლანდიის მშრომელთა ფართო მასებისათვის იმპერიალისტური ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან, თუ წყნარ-ოკეანეზე ომი ატყდებოდა, ჰოლანდიის კოლონიური სამფლობელოები კონფლიქტის ცენტრში აღმოჩნდებოდნენ. ორატორი ხაზს უსვამს აგრეთვე, რომ თვით ჰოლანდიაში გერმანელი ფაშისტები იყენებენ პრესის ორგანოებს თავისი აგიტაციისათვის და ისწრაფვიან დაუმორჩილონ ჰოლანდია თავის გავლენას. დასასრულ ორატორი აცხადებს, რომ ბრძოლა იმპერიალისტური ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ჰოლანდიაში უნდა შეთავსდეს ანტი-იმპერიალისტური მოძრაობის გაფართოებასთან.

შემდეგ დიდი სიტყვა წარმოსთქვა იაპონიის კომუნისტური პარტიის დელეგატმა **ნოსაკამ**. მის სიტყვას, რომელიც შეიცავს იაპონელი კომუნისტების ომისწინააღმდეგო და ანტიფაშისტური მოღვაწეობის მრავალ მკაფიო მაგალითს, არაერთხელ აწყვეტინებენ მქუხარე ტაშით.

ჩვენი მუშაობის ერთერთი მთავარი ამოცანა, — განაგრძობს ამხ. ნოსაკა, — ეს არის ნამდვილ პროლეტარულ ინტერნაციონალისტთა კადრების აღზრდა. ორატორი აცხადებს, რომ იაპონიის კომუნისტური პარტია მოიმოქმედებს ყველაფერს, რათა გააჩაღოს ნამდვილად მასობრივი სახალხო მოძრაობა მშვიდობიანობისათვის და შექმნას ფართო სახალხო ფრონტი მოსახლეობის ყველა ფენასთან და ყველა ორგანიზაციასთან, რომელთაც კი გულწრფელად სურთ იბრძოლონ მშვიდობიანობისათვის.

შემდეგ იმპერიალისტური ომისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ქალთა ფართო მასების ჩაბმის უდიდეს მნიშვნელობაზე ცოცხალი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **კირსანოვამ** (კომინტერნის აღმასკომთან არსებული ქალთა საერთაშორისო სამდივნო), რომელსაც კონგრესი მქუხარე ოვაციით მიესალმა.

15 წუთის შესვენების შემდეგ გამოდის ამხ. **კიმი** (კორეის კომპარტია). იგი ახასიათებს კორეას, როგორც იაპონიის იმპერიალიზმის ექსპანსიის პლაცდარმს აზიის კონტინენტზე, და ხატავს იმ მძიმე მდგომარეობის სურათს, რომელსაც კორეის მშრომელნი განიცდიან იაპონიის იმპერიალიზმის კოლონიური ჩაგვრის გამო. უსასტიკესი ტერორი, რომელიც კორეაში მძვინვარებს, უკანასკნელ წლებში უფრო მეტად გაძლიერდა. ამ წლების მანძილზე კორეაში იაპონიის პოლიციამ დააპატიმრა 10 ათასზე მეტი რევოლუციონერი.

კორეის ხალხს, — ამბობს ამხ. კიმი,— აღარ სურს იყოს იაპონიის იმპერიალიზმის მონა. იაპონიის მილიტარიზმი ისწრაფვის გააჩაღოს ომი აზიაში. კორეის მშრომელები იბრძვიან მშვიდობიანობისა და თავისი ნაციონალური განთავისუფლებისათვის.

შემდეგ ლაპარაკობს ამხ. **გოლანი** (ახალგაზრდობის კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომი), რომელიც აღნიშნავს ანტი-მილიტარისტული განწყობილების ზრდას ახალგაზრდობაში. ეს განწყობილება, — ამბობს იგი, —ორგანიზაციულად უნდა ჩამოვაყალიბოთ, შევქმნათ ახალი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ და მშვიდობიანობისათვის ბრძოლის ერთიანი ფრონტი ახალგაზრდობისაგან.

საღამოს სხდომაზე უკანასკნელმა ილაპარაკა სამხრეთ-ამერიკის კომუნისტური პარტიების წარმომადგენელმა ამხ. **გორასიომ**.

საღამოს კონგრესის დელეგატები დაესწრნენ საბჭოთა ფილმის „ახალი გულივერის“ გასინჯვას.

საბჭოთა კავშირში

საქონლის შესყიდვა იაპონიაში

მოსკოვი, 13 აგვისტო. აღმოსავლეთ ჩინეთის რკინიგზის გაყიდვის შეთანხმებასთან დაკავშირებით საბჭოთა კავშირი იაპონიაში იძენს საქონელს. შეძენილი საქონლის საერთო ღირებულება უკვე აღწევს 83 მილიონ იაპონურ იენს. ამ თანხის ნახევარზე მეტი მოდის საკვებ პროდუქტებზე და ნედლეულზე, მათ შორის ჩაიზე —1.800 ათასი იენი, ხორცზე—3.300 ათასი იენი, ქოქოსის და სოიოს ზეთზე—2.500 ათასი იენი, მანილის ბაგირსა და ტვინზე—2.300 ათასი იენი, ხორბლის ფქვილზე—1 მილიონი იენი და სხვ.

8 მილიონ იენზე მეტი მოდის სხვადასხვა ლითონის ნაწარმზე, მათ შორის 4500 ათასი იენი—სპილენძის და ფოლად-ალუმინის კაბელზე, 2100 ათასი იენი—სპილენძის მავთულზე, 700 ათასი იენი—საქვაბე მილებზე, 1700 ათასი იენი—ფოლადის ლენტზე, ქილებზე, ბაბიტზე, ფოლადის გვარლზე, ლითონის ქსელზე და სხვ. შეძენილია მოწყობილობა 4500 ათასი იენისა, მათ შორის 40 თვლის სახარატო ჩარხი, 304 დიზელი, 149 კომპრესორი, 95 მოძრავი ელსადგური, 556 ელექტრომოტორი, 153 გენერატორი, 450 ალუმინიუმის განმტვირთველი და სხ. მცირე გემები (თევზსაჭერი კატარღა, ასთაკვის საჭერავი და ჩვეულებრივი კატარღა) შეკვეთილია 1200 ათასი იენისა.

ამას გარდა შესყიდულია: ფართლეული 1 მილ. იენისა ბრეზენტი 400 ათასი იენისა, თევზის საჭერი ბადე 1 მილიონ იენისა, ძაფი ბადისათვის 300 ათასი იენისა, ქიმსაქონელი და სალებარი 500 ათასი იენისა და მთელი რიგი სხვა საქონელი.

შეძენილი საქონლიდან 11 აგვისტოსათვის გადმოგზავნილია 6 მილიონ იენის საქონელი.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

მოსკოვი, 15 აგვისტო. სსრ კავშირის სახკომსაბჭომ ამხ. ალექსანდრე თედორესძე ულიანოვი გაათავისუფლა სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლის მოვალეობისაგან ლატვიაში და დანიშნა სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად ავსტრიაში.

სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენლად ლატვიაში სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დანიშნა ამხ. სიმონ ივანესძე ჩასოვენი. (ადს).

ამხ. ორჯონიკიძისა და მიქოიანის მისალმება

ორჯონიკიძე, 14 აგვისტო. გუშინ ოლქის რაიონებსა და კოლმეურნეობებში გრძელდებოდა თეთრგვარდიელთა ბანდებისაგან ჩრდილოეთ ოსეთის განთავისუფლების 15 წლისთავისთვის მიძღვნილი ზეიმი. დღესასწაულზე გამოდიოდნენ მომღერლები, მოცეკვავენი და ფიზკულტურელები. გაიმართა დოღი. ორჯონიკიძეში გაიხსნა ეროვნული საოლქო თეატრი.

მიღებულია ამხ. ორჯონიკიძის დეპეშა, ის იწერება:

„ბოდიშს ვიხდი, რომ ჩამოსვლა არ შემიძლია. სალამი და საუკეთესო სურვილები ოსეთის მშრომელთ. ორჯონიკიძე“.

მიღებულია აგრეთვე ამხ. მიქოიანის დეპეშა: „გთხოვთ გადასცეთ ჩრდილოეთ ოსეთის მშრომელთ თეთრი ბანდებისაგან განთავისუფლების 15 წლის თავის დღეს ჩემი მხურვალე მილოცვა.

ამ წლებში საბჭოთა ოსეთმა განამტკიცა ურყევი სახალხთაშორისო მშვიდობიანობა, არნახულ დონეზე აიყვანა მუშათა და კოლმეურნეთა მატერიალურ-კულტურული მდგომარეობა და მთელ საბჭოთა კავშირთან ერთად წარმატებით აშენებს სოციალიზმს. წინ ახალი გამარჯვებებისაკენ. ა. მიქოიანი“. (ადს).

□ □ □ □

ფიზიოლოგთა XV საერთაშორისო კონგრესის გახსნა

7 აგვისტოს, ექსპერიმენტალური მედიცინის საკავშირო ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალის ტერიტორია დაათვალიერეს: აკადემიკოსმა ი. პ. პავლოვმა, სსრკ-ს ცაკის მდივანმა აკულოვმა, საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ტის სამეცნიერო განყოფილების გამგემ ამხ. ბაუმანმა, რსფსრ კავშირის ჯანმრთელობის სახალხო კომისარმა ამხ. კამინსკიმ, ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ფიოდოროვმა, აკადემიკოსმა ამხ. ორბელმა და სხვ.

სურათზე: (წინ, მარჯვნიდან მარცხნივ) ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. კამინსკი. აკად. ი. პ. პავლოვი და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ტის სამეცნიერო განყოფილების გამგე ამხ. ბაუმანი ემსი-ს ფილიალის ტერიტორიაზე.

ტრანსპორტი ახალი ამოცანების წინაშე

რკინიგზის ტრანსპორტის გიგანტური ორგანიზაციული მანქანა უფრო და უფრო მოგვყავს წესრიგში. რკინიგზების გაჯანსაღების მუშაობა მთელი პარტიის, მთელი ჩვენი ქვეყნის დაძაბული ყურადღების საგანს წარმოადგენს. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ ტრანსპორტის გარდაქმნის ყოველ ნაბიჯს არა მარტო იმიტომ, რომ უდიდესია მისი როლი სოციალისტური მშენებლობისათვის, არამედ იმიტომაც, რომ მის წარმატებებში ჩვენ ვხედავთ ბოლშევიკური ორგანიზაციული პოლიტიკის პრაქტიკულ განხორციელებას, რაც უაღრესად საგულისხმოა სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის.

დღეს „პრავდა“ აქვეყნებს გზათა სახალხო კომისრის ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის მიერ რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკთა თათბირზე წარმოთქმულ სიტყვას, რომელიც მიძღვნილია რკინიგზების შემდგომი აღმავლობის ამოცანებისადმი, ამ სიტყვაში სარკინიგზო მუშაობის პრაქტიკის და თავისებურებათა ღრმა გაგება შეთავსებულია იმ პრინციპული ამოცანების გაშუქებასთან, რომლებიც დასახულია ტრანსპორტის წინაშე სოციალისტური მეურნეობის სანიმუშო დარგად მისი გადაქცევის გზაზე.

„ჩვენი მუშაობის პირველ ეტაპზე უმთავრესად ყურადღებას ვაქცევდით ორგანიზაციულ ღონისძიებებს, აშკარა ნაკლთა ლიკვიდაციას, რკინიგზელთა კოლექტივის, უპირველეს ყოვლისა მეთაურთა და პოლიტიკური შემადგენლობის, დარაზმვას, შეჯიბრებისა და დამკვრელობის გაშლას, ვაი-თეორეტიკოსთა დახავსებულობის, უცოდინარობის, ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკის და ცრუ-თეორიული აზრების მხილებას. ახლა ჩვენ გადავდივართ მეორე კლასში, სადაც უფრო მეტ, უფრო რთულ და უფრო ძნელ მოთხოვნებს გვიყენებენ. ამიტომ ჩვენ ასეთივე დაძაბულობით უნდა განვაგრძოთ ზემოთაღნიშნული მუშაობა, მაგრამ ამავე დროს განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ მთელ რიგ სამეურნეო-ტექნიკურ ღონისძიებათა გატარებას რკინიგზის მეურნეობის ყველა დარგში და, უწინარეს ყოვლისა, საორთქლმავლო მეურნეობისა და მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაციის დარგში. ამ ღონისძიებებმა უნდა განამტკიცონ და წინ წასწიონ ჩვენი ტრანსპორტის აღმავლობა“. ასეთია ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის სიტყვის ძირითადი დებულება.

რკინიგზის ტრანსპორტის გადაუდებელი ამოცანა ახლანდელ ეტაპზე მდგომარეობს იმაში, რომ დავაჩქაროთ მატარებელთა მოძრაობა— ამისათვის მოიპოვება ყოველგვარი მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობანი, ამაშია ჩამარხული უდიდესი რესურსები ტვირთის მიმოქცევის შემდგომი გადიდებისა და მგზავრთა გადაყვანის გაუმჯობესებისათვის. ამხანაგმა სტალინმა მოგვითითა — უახლოეს დროში ავიყვანოთ დატვირთვა 80 ათას ვაგონამდე დღელამეში, ამ მითითების შესრულება უდიდესად არის დამოკიდებული მატარებელთა მოძრაობის დაჩქარებაზე. სწორედ ამ ამოცანის განხორციელებას ექვემდებარება საორთქლმავლო მეურნეობის გარდაქმნისა და მატარებელთა მოძრაობის ორგანიზაციის ღონისძიებები: სამცვლელო მგზავრობაზე გადასვლას, წევის გრძელი მხრების (ლიანდაგის დარგი, რომელსაც მომსახურებას უწევს მოცემული დეპო) შეცვლას უფრო მოკლე მხრებით: გაუპიროვნების ლიკვიდაციის ორთქლმავლების რემონტის საქმეში კომპლექსური ბრიგადების სისტემაზე გადასვლის გზით; საორთქლმავლო მეურნეობის განყოფილებათა ორგანიზაციას, რომლებმაც უნდა გააუმჯობესონ ორთქლმავლის ექსპლოატაცია და ხელფეხი გაუხსნან დეპოების უფროსებს, რათა მათ შეეძლოთ მთელი ყურადღება მიაქციონ ორთქლმავლების რემონტს და საორთქლმავლო ბრიგადების შრომის ორგანიზაციას; არა მარტო სამგზავრო, არამედ სატვირთო მატარებლების მოძრაობის მტკიცე ცხრილის შემოღებას სისწრაფის უფრო მაღალი ნორმებით, ვიდრე დღემდე იყო. ეს ღონისძიებანი სრულიადაც არ არიან რაღაც შემთხვევითი, ისინი შეადგენენ იმ სისტემის ნაწილს, რომელიც გეგმაშეწონილად ხორციელდება და რომელიც სცვლის რკინიგზაზე არსებულ ძველ უთავბოლობას.

საიდუმლოება როდია, რომ სულ უკანასკნელ დრომდე სარკინიგზო მუშაობის ორგანიზაციული სტრუქტურა ძალიან ბევრ რამეში არ შეეფერებოდა იმ პრინციპებს, რომლებიც მოცემული იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებებში ტრანსპორტის მუშაობის შესახებ. საკმარისია ითქვას, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა და სახკომსაბჭომ ჯერ კიდევ 1931 წელს მოგვცეს წინადადება გაგვეუქმებინა გაუპიროვნება და ფართო მასშტაბით გამოგვეყენებინა გაწყვილებული და სამცვლელო მგზავრობა ორთქლმავლებზე. ამით რკინიგზელებს მიეცათ პერსპექტივა განემტკიცებინათ გაწყვილებული მგზავრობა და შემდეგ გადასულიყვნენ სამცვლელო მგზავრობაზე. მაგრამ სამი წლის განმავლობაში სამცვლელო მგზავრობა არა თუ არ ხორციელდებოდა ორგანიზაციული წესით, არამედ წინააღმდეგობასაც კი უწევდნენ ცალკეული მოწინავე დეპოების ცდებს განეხორციელებინათ პარტიისა და მთავრობის ეს მითითება.

რამდენიმე თვის წინათ ამხ. კაგანოვიჩის სიტყვაში რკინიგზების საექსპლოატაციო მუშაობის შესახებ და მის ბრძანებაში ვაგონის მიმოქცევის შესახებ ხაზგასმით იყო აღნიშნული ექსპლოატაციის დარგში არსებული ორგანიზაციული უთავბოლობა, რასაც ართულებდა იმ სხვადასხვა ვაი-მეცნიერთა ანტისახელმწიფოებრივი პრაქტიკა და ცრუ-თეორიული აზრები, რომლებიც ცდილობდნენ დაემტკიცებინათ რომ ტრანსპორტი მივიდა თავის შესაძლებლობათა გამოყენების საზღვრამდე. ამ სიტყვით და ამ ბრძანებით დაიწყო ექსპლოატაციის დარგში წესრიგის დამყარება, რამაც ამჟამად 4 თვის განმავლობაში მოგვცა გეგმის ზევით 470 ათასი ვაგონის დატვირთვა.

ამხ. კაგანოვიჩის სიტყვა საორთქლმავლო მეურნეობის შესახებ, მისი ბრძანება ამავე საკითხზე ბოლოს უღებენ დიდ ორგანიზაციულ დეფექტებს სარკინიგზო საქმის ამ უმნიშვნელოვანეს დარგში და ტრანსპორტელთა წინაშე სახავენ იმ ახალ გამარჯვებათა პერსპექტივას, რომლებიც გამოიყვანენ მათ სოციალისტური საზოგადოების მშენებელთა მოწინავე რიგებში.

ამხ. კაგანოვიჩის სიტყვის ლეიტმოტივს წარმოადგენს ის აზრი, რომელიც თვითონ მან ჩამოაყალიბა შემდეგ სიტყვებში: „ადამიანი, მისი შრომა წარმოადგენს გადამწყვეტს მთელი მეურნეობის ორგანიზაციაში“. ყოველი ღონისძიება, რომელსაც პარტია და მთავრობა ატარებენ ტრანსპორტის მუშაობის გასაუმჯობესებლად, გამომდინარეობს ამ გადამწყვეტ პრინციპიდან. არა გაწყვეტილი ფორმულები და ფსევდო-თეორიული მოვარაყებანი, რომლებსაც ტრანსპორტზე ასე დიდხანს და ასე ბევრს იყენებდნენ, არამედ ცოცხალი ადამიანი, მისი ძალები, მისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი, მისი ენერგია და ნებისყოფა — აი რა უდევს საფუძვლად ამ ღონისძიებებს. ავიღოთ თუნდაც ისეთი საკითხი, როგორიცაა წევის მხრების სიგრძე—ეს საკითხი თითქოს უაღრესად ტექნიკური საქმეა. მაგრამ დღემდე ამ საკითხს არ სწყვეტდნენ სწორად, ვინაიდან მას სწყვეტდნენ ცოცხალი ადამიანებისათვის ანგარიშის გაუწევლად. წევის უბნების ახალ სისტემას საფუძვლად უდევს ის აზრი, რომ ყოველ საორთქლმავლო ბრიგადას თავის ნორმალურ სამუშაო დღეში — 8 საათში — შეეძლოს დაიწყოს და დაამთავროს განსაზღვრული საწარმოო ციკლი, რაც უეჭველად დიდად დაზოგავს ბრიგადის ძალებს და მკვეთრად გააუმჯობესებს ორთქლმავლების გამოყენებას.

საორთქლმავლო მეურნეობის ორგანიზაციულ გარდაქმნას ამტკიცებს საგრძნობი ცვლილება მემანქანეთა ხელფასის სისტემაში, რომელიც დღემდე არამც თუ არ უწყობდა ხელს შრომის ნაყოფიერების გადიდებას, არამედ აიძულებდა ცალკეულ მემანქანეებს შეემცირებინათ სისწრაფე და უსაქმოდ გამცდარიყვნენ. გამომუშავების მტკიცე ნორმების განმტკიცებამ ხანგრძლივი დროით და ხელფასის პროგრესიული სისტემის დაწესებამ გარბენის სისწრაფის და უავარიო მგზავრობის მხრივ საუკეთესო მუშაობისათვის უნდა შექმნას მემანქანეთა მატერიალური დაინტერესება შრომის უფრო მაღალი ნაყოფიერებით.

ტრანსპორტის წარმატებით გამოსვლა გარღვევის მდგომარეობიდან და მისი მზარდი წარმატებანი აიხსნება იმით, რომ მისმა ახლანდელმა ხელმძღვანელმა, ხელმძღვანელობის სტალინური სტილის გამოჩენილმა ოსტატმა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩმა შესძლო ადამიანებზე, კადრების აღზრდაზე უდიდესი ზრუნვა შეეთავსებინა საწარმოო პროცესის მტკიცე და გარკვეულ ორგანიზაციასთან. „ყველაფერს სწყვეტენ ადამიანები, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ თვით საწარმოო პროცესის ორგანიზაცია აყენებს ადამიანებს აუცილებლობის პირობებში“ — ამბობს იგი. ეს საუცხოო, ღრმად მარქსისტული აზრი ხსნის მეურნეობის ხელმძღვანელობის იმ სისტემის მთელ მექანიკას, რომელიც ამჟამად თვალსაჩინო წარმატებით ხორციელდება ჩვენს ტრანსპორტზე.

პარტია და ჩვენი ქვეყანა მიღწეულ წარმატებათა გამო დიდი კმაყოფილებით წაიკითხავენ ამხ. კაგანოვიჩის სიტყვას, რაც შემატებს მათ ტრანსპორტის მუშაობის შემდგომი აღმავლობის მტკიცე იმედს. დატვირთვის ყოველდღიური ზრდა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ, ერთბაშად შეტევით კი არ ხდება, არამედ წარმოადგენს მთელი საქმის გეგმაშეწონილი ბოლშევიკური ორგანიზაციის შედეგს. რკინიგზები, ამხ. კაგანოვიჩის გამოთქმით შევიდნენ „ნამდვილი ლენინურ-სტალინური ბოლშევიზმის ხანაში“. ეს არის იმის საწინდარი, რომ დიდ სარკინიგზო სახელმწიფოს, როგორიც ჩვენი საბჭოთა კავშირია, ექნება მსოფლიოში ყველაზე უკეთესი, უაღრესად ორგანიზებული, საათივით მომუშავე სარკინიგზო ტრანსპორტი.

(„პრავდა“, 16 აგვისტო)

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ავიაციის მესამე საკავშირო დღე

ავიაციის მესამე საკავშირო დღეს —18 აგვისტოს ა.-კ. სფს რესპუბლიკაში, როგორც მთელ საბჭოთა კავშირშიც, მშრომელები დიდი აღფრთოვანებით ხვდებიან.

საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმმა გაშალა დიდი მასობრივი მუშაობა. საპარაშუტო სპორტი ფართოდ იკიდებს ფეხს მშრომელ ახალგაზრდობას შორის და უკვე არა ერთმა ათეულმა მუშამ წარმოებისაგან მოუწყვეტლად გაიარა საპარაშუტო სკოლა და მოახდინა თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტომა.

ავიაციის დღეს ვხვდებით ტფილისის აეროკლუბის უფრო მეტი განმტკიცებით და მისი ფილიალების მოწყობით ავტონომიურ რესპუბლიკებსა და საქართველოს სს რესპუბლიკის რაიონებში. სწარმოებს საავიაციო კადრების მომზადების საქმის ფართო პოპულარიზაცია, საწარმოებში არსდება საპლანერო წრეები, საპარაშუტო წრეები, ავიომოტორების შემსწავლელი წრეები.

ავიაციის დღისათვის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ა.-კ. სამმართველო და საქართველოს თავდაცვა-ავიაქიმი აწყობენ მთელ რიგ საავიტაციო გადაფრენებს საქართველოს რაიონებში. თვითმფრინავთა დაშვების ადგილებზე მოეწყობა თვითმფრინავით გასეირნება საუკეთესო დამკვრელების „საჰაერო ნათლობა". ქუთაისში გაიხსნება ახალი აეროპორტი.

18 აგვისტოსათვის სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ტფილისის აეროპორტზე გაიმართება საბჭოთა ავიაციისადმი მიძღვნილი დიდი ზეიმი. ზეიმი გაიხსნება ქალ. ტფილისის საწარმოთა მშრომელების მიტინგით, რომლებიც მოწვეულნი არიან აეროდრომზე, შემდეგ გაიმართება აეროკლუბში მოსწავლე პილოტების, პლანერისტების, პარაშუტისტების, ახალგაზრდა ავიომშენებლების, ა.-კ. სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მუშათა პარადი. შემდეგ მოხდება სკოლადამთავრებული პილოტების და პლანერისტების გამოშვება.

შემდეგ ტფილისის აეროკლუბის ინსტრუქტორები და მოწაფეები უჩვენებენ თავის ოსტატობას. მოეწყობა გაფრენა და ნაჩვენები იქნება მაღალი პილოტაჟის ფიგურები. პარაშუტისტები უჩვენებენ თვითმფრინავებიდან ანტ-9, პ-2 და პ-5 გადმოხტომას, აგრეთვე ჩამოაგდებენ პარაშუტით ტვირთებს. მიღწევათა ჩვენების შემდეგ მოეწყობა საუკეთესო დამკვრელთა თვითმფრინავით გასეირნება. ამ მიზნისათვის თავდაცვა-ავიაქიმმა და ა.-კ. სამოქალაქო საჰაერო ფლოტმა გამოჰყვეს სპეციალური თვითმფრინავები. აეროდრომზე მოხდება ტფილისის ფიზკულტურელების გამოსვლა. ტფილისის აეროპორტს მხატვრულად აფორმებენ, ეწყობა ბუფეტები გამაგრილებელი სასმელებით, დაუკრავს მუსიკის ორკესტრი და სხ.

ავიაციის დღეს მშრომელთა უკეთ მომსახურებისათვის ტფილისის აეროპორტამდე ივლიან სპეციალური მატარებლები, რომლებიც აეროპორტისკენ გავლენ დილის 9 საათსა და 30 წუთზე და 10 საათსა და 30 წუთზე და უკან ტფილისისკენ—15 და 18 საათზე. გარდა ამისა მოეწყობა საავტობუსო მიმოსვლა.

ავიაციის დღის მომწყობმა ცენტრალურმა კომისიამ ამხ. გ. ყურულოვის თავმჯდომარეობით ზუსტად დაამუშავა ავიაციის დღის მოწყობის გეგმა. დანიშნული არიან მუშაობის თვითეული ნაწილისათვის პასუხისმგებელი პირები.

აეროკლუბების ფონდში

გუშინ, ფეხსაცმელების № 1 ფაბრიკაში შედგა მიტინგი, რომელმაც მოისმინა ინფორმაცია ტფილისის აეროკლუბების მუშაობის შესახებ. მიტინგზე მუშებმა სურვილი გამოთქვეს აეროკლუბების მატერიალური ბაზის გასაძლიერებლად გაიღონ თავიანთი წვლილი. მიტინგზევე ნებაყოფლობის საფუძველზე შეგროვდა 300 მან. თანხების შეგროვება გრძელდება. ფაბრიკამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია თავისივე საქარხნო-საფაბრიკო სკოლა. უკანასკნელმა მიიღო გამოწვევა და გაიღო 300 მან.

**

აეროკლუბის ფონდში შემაქვს 30 მან. და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: ზესტაფონიდან—შარიქაძეს, ფოფხაძეს, ნიორაძეს, რობაქიძეს; ქუთაისიდან—კეკელიას, მიქელაძეს; ფოთიდან—ვ. ფაჩულიას, ჯიბლაძეს, ლორთქიფანიძეს.

მფრინავი **ნიკოლოზ ჯიბლაძე**

„კომუნისტის" სტამბამ შეასრულა დავალება

15 აგვისტოსთვის „კომუნისტის" გამომცემლობის სტამბამ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება: დაბეჭდა 12 სახელმძღვანელო — 390.000 ცალი, აქედან აჰკინძა და უკვე გადასცა სახელგამს 300.000 ცალი, ხოლო დანარჩენი 90.000 ცალის აკინძვას დაამთავრებს 28 აგვისტოსათვის.

ამ მნიშვნელოვანი დავალების შესრულება საგაზეთო სტამბაში, სადაც მუშაობის პირობები განსხვავდება ჩვეულებრივი სასტამბო პირობებისაგან, მოითხოვდა ადგილობრივი მუშაკების განსაკუთრებულ ენერგიას. ამავე დროს დავალების დროულად შესრულებას აბრკოლებდა დამხმარე მასალების სიმცირე და განსაკუთრებით ქაღალდის უქონლობა (ქაღალდის უკანასკნელი პარტია სტამბამ მიიღო 13 აგვისტოს).

სტამბის სამკუთხედმა აღნიშნული საწარმოო გამარჯვების შესახებ პატაკით მიმართა საქ. კ. პ. (ბ) სტალინის სახ. რაიკომს, განათლების სახალხო კომისარიატს, სახელგამს და მბეჭდავთა პროფკავშირს.

— აღნიშნული გამარჯვების მიღწევა,—ნათქვამია პატაკში, მთლიანად მოპოვებულია საქ. კ. პ. (ბ) სტალინის რაიონული კომიტეტის სწორ, ცოცხალ და ოპერატიულ ხელმძღვანელობით ადგილობრივი პარტორგანიზაციის ენერგიულ მუშაობით და განსაკუთრებით იმ გმირულ დაუღალავ მუშაობით, რომელსაც მთელი შეგნებით იწეოდნენ სტამბის მუშები.

სტამბის სამკუთხედს გადაწყვეტილი აქვს შეუდგეს სახელმძღვანელოების დამატებით გამოცემას, თანახმად საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილებისა.

არასრული საშუალო და საშუალო სკოლის ყველა მასწავლებელს—უმაღლესი განათლება

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა, საქ. სახკომსაბჭოს 1934 წლის 22 მაისის დადგენილების საფუძველზე გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვით არასრული საშუალო და საშუალო სკოლის ყველა მასწავლებელი, რომელსაც საშუალო განათლება აქვს და უმაღლესი განათლება არ მიუღია, ვალდებულია მიმდინარე წლის 25 სექტემბრამდე ჩაებას უმაღლეს პედაგოგიურ დაუსწრებელ განათლებაში.

ყველა განათლების განყოფილებას წინადადება მიეცა ზემოაღნიშნულ ვადამდე სავალდებულო წესით ჩარიცხონ არასრული საშუალო და საშუალო სკოლის მასწავლებლები დაუსწრებელ ინსტიტუტებში (ქუთაისი, ტფილისი). იმ მასწავლებლების მიმართ, რომელნიც 25 სექტემბრამდე არ ჩაირიცხებიან დაუსწრებელ ინსტიტუტში, გამოყენებული იქნება საქართველოს სახკომსაბჭოს 1934 წლის 22 მაისის დადგენილების მე-4 მუხლი, ეს მუხლი ითვალისწინებს არასრული საშუალო და საშუალო სკოლის იმ მასწავლებელთა სამსახურიდან განთავისუფლებას, რომელთაც არა აქვთ უმაღლესი განათლება, და არ სწავლობენ დაუსწრებელ ინსტიტუტში.

რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს ევალებათ 30 სექტემბრამდე წარმოუდგინონ განსახკომს პედაგოგიურ კადრების მომზადების სამმართველოს დაუსწრებელ პედინსტიტუტში ჩაბმულ მასწავლებელთა სახელობითი სია (ძველი და ახალი), აგრეთვე სია იმ მასწავლებლებისა, რომელნიც 25 სექტემბრამდე დაუსწრებელ სწავლებაში არ იქნებიან ჩაბმული.

30 წლის წინათ

მჭადიჯვრის გლეხობის გამოსვლა

1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში მუშათა კლასის ხელმძღვანელობით აქტიური მონაწილეობა მიიღო მშრომელმა გლეხობამ.

საქართველოს მთელ რიგ მაზრებსა, დაბა-ქალაქებსა და სოფლებში ღარიბი გლეხები აქტიურად, ზოგჯერ იარაღით ხელში გამოდიოდნენ თვითმპყრობელობის წინაამდეგ საბრძოლველად.

მათ შორის უსათუოდ უნდა აღინიშნოს სოფ. მჭადიჯვრის (დუშეთის უოფ. მაზრა) გლეხთა გამოსვლა და სისხლისმღვრელი შეტაკებანი კაზაკებთან, რომელიც 16 აგვისტოს მოხდა.

ამ მაზრის სხვადასხვა სოფლების გლეხობა ჯერ კიდევ 1905 წლის დასაწყისიდან ჩაება მოძრაობაში. სოფლებში, საზოგადო კრებებზე და კანცელარიებში იკრიბებოდნენ გლეხები და თავიანთ მოთხოვნებს უყენებდნენ მთავრობის წარმომადგენლებს. მემამულენი და მეფის აგენტები სასტიკად უსწორდებოდნენ რევოლუციურ გლეხობას, ბევრ მათგანს აპატიმრებდნენ და ასახლებდნენ, ხოლო სოფლებში ჯარი და კაზაკები შეჰყავდათ.

ექზეკუცია ჩააყენეს კერძოდ სოფ. მჭადისჯვარში, რადგან იქაურმა გლეხებმა უარი განაცხადეს თავად ბაგრატიონ - მუხრანსკისათვის ლალის მიცემაზე. ამის გამო, ბოქაულმა, მაზრის უფროსის დავალებით, დააპატიმრა სამი მოწინავე გლეხი, რამაც დანარჩენი გლეხობა სასტიკად აღელვა. 300-მდე გლეხმა ძალით განათავისუფლეს დაპატიმრებული ამხანაგები. ამ ამბის შემდეგ სოფელში დამატებით გაგზავნეს კაზაკები და ჯარის ნაწილი და გლეხებს ძალით გადაახდევინეს ლალა.

უზომოდ აღელვებულმა ათასამდე გლეხმა როგორც მჭადისჯვრის, ისე სხვა სოფლების მცხოვრებლებმა, 16 აგვისტოს დილით თავი მოიყარეს მემამულის სახლთან და ლალის უკან დაბრუნება მოითხოვეს. პასუხის ნაცვლად მეფის აგენტები ხმლებით და რევოლვერებით დაერივნენ გლეხობას. ერთმა ოფიცერმა, გაამწკრივა ცხენოსანი კაზაკები, რომლებმაც იშიშვლეს ხმლები და ისე გაექანენ ხალხისაკენ. იქვე მდგომმა ჯარის ნაწილმაც ხალხს ტყვიები დაუშინა. ამრიგად, ხმლით და ტყვიით გაჰფანტეს ხალხი.

ამ შეტაკების დროს ჯარმა და კაზაკებმა მოჰკლეს 30-მდე და დასჭრეს 40-ზე მეტი გლეხი.

მჭადისჯვრის გლეხობის ამ სისხლისმღვრელმა შეტაკებამ კაზაკებთან და ჯართან მთელი დუშეთის მაზრის მშრომელი გლეხობა აღელვა. თავად ბაგრატიონ — მუხრანსკის მამულში მთავრობამ ჯარის სპეციალური ნაწილი ჩააყენა, ბევრი გლეხი დააპატიმრა. მაგრამ მოძრაობა და გამოსვლები მაინც არ შეწყვეტილა. ამ ამბების რამდენიმე დღის შემდეგ მჭადისჯვრის მიდამოებში მოჰკლეს რამდენიმე სტრაჟნიკი და კაზაკი, ხოლო 23 აგვისტოს სოფლის გზაზე დასჭრეს თვით თავადი ბაგრატიონ — მუხრანსკი.

ამის შემდეგ, მოძრაობა უფრო და უფრო მოედო დუშეთის მაზრას და სხვა სოფლებსაც.

13—16 აგვისტო

★ **ბელოსტოკში** ჯარის და დემონსტრანტების შორის მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება; შეტაკების დროს მოკლეს 34 მუშა და ბევრი დასჭრეს.

★ **მოსკოვში** საიდუმლოდ გაიხსნა რუსეთის გლეხთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა.

★ **სორმოვოს** ქარხანა დახურეს. დათხოვეს 4 ათასამდე მუშა.

★ **ჩიტას** რკინისგზის გაფიცულ მუშებს შეუერთდნენ ირკუტსკის და კრასნოიარსკის რკინისგზების სახელოსნოების მუშები.

★ **ციმბირის** რკინისგზის ყველა მთავარ პუნქტებში რკინისგზელები გაიფიცნენ. მათი ერთ-ერთი უმთავრესი მოთხოვნა რუსეთ-იაპონიის ომის შეწყვეტა იყო.

★ **ვილნოში** გამოცხადდა პოლიტიკურ პატიმართა გაფიცვა.

★ ტფილისის სასტუმრო „გრანდ-ოტელში" პოლიციამ შეიპყრო ტერორისტთა ჯგუფი, რომელსაც განზრახვა ჰქონდა კავკასიაში პოლიციის გამგის გენ. შირინკინის მოკვლა. გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს „მაკედონის" ტიპის 7 ყუმბარა, დინამიტი და სხვ.

★ **ქუთაისის** გუბერნიაში მოიხსნა სამხედრო წესები.

★ გამოქვეყნდა ცნობა ბოლშევიკური გაზ. „ახალი დროების" გამოცემის შესახებ.

ხელოვნება

ცეკვის საღამო

გუშინ, 16 აგვისტოს, საქართველოს განათლების სახალხო კომისარმა ამხ. თათარიშვილმა მიიღო ხალხური ცეკვის ლონდონის საერთაშორისო ფესტივალის ქართველ მონაწილეთა ჯგუფი.

გადაწყდა 19 აგვისტოს მუსიკ-ჰოლის თეატრში მოეწყოს ჯგუფის საანგარიშო - საჩვენებელი გამოსვლა იმ პროგრამით, რომელსაც ისინი ლონდონში ასრულებდნენ. გამოსვლის წინ ჯგუფის ხელმძღვანელი ამხ. დ. ჯავრიშვილი მოკლე საინფორმაციო მოხსენებას გააკეთებს ლონდონში მოგზაურობის შესახებ.

ახლო ხანში მოეწყობა აგრეთვე მოცეკვავეების გამოსვლა მუშათა კლუბებსა და საწარმოებში.

ქიმიური ლაბორატორია გორის საკონსერვო ქარხანაში

საქართველოს საკონსერვო ტრესტი და საბჭოთა კავშირის კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის სანიტარული ინსპექცია საქართველოში გორის საკონსერვო ქარხანაში აწყობენ ქიმიურ - ბაქტერიოლოგიურ ლაბორატორიას ნედლეულის და მზა პროდუქციის ხარისხის შესამოწმებლად.

ლაბორატორიის მუშაობის ხელმძღვანელობისათვის ოდესიდან მოწვეულია მიკრობიოლოგიის პროფესორი პრაციკევიჩი.

ლაბორატორიის ბინა უკვე მზად არის. მიღებულია მოწყობილობის ნაწილი.

ლაბორატორია უახლოეს ხანში დაიწყებს მუშაობას.

სპორტი

კიევი—ტფილისი

ტფილისში ჩამოვიდა კიევის პროფკავშირების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელიც 15 აგვისტოს შეხვდა „დინამოს" პირველ გუნდს.

თამაში ცოცხლად ჩაიარა. კიეველები თავიდანვე სწრაფი ტემპი განავითარეს და საგრძნობლად შეავიწროვეს ტფილისის გუნდი (ამ უკანასკნელს ქარის წინააღმდეგ უხდებოდა თამაში). შუა ტაიმში მათ გააქვთ პირველი ბურთი. ტფილისელებმა ვერ შესძლეს მისი გაქვითვა და თამაშის პირველი განყოფილება თავდება 1:0 კიევის გუნდის სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში მდგომარეობა შეიცვალა. ინიციატივა ხელთ იგდეს ტფილისელებმა და ზედიზედ სამი ბურთი გაიტანეს.

რამდენიმე წუთით ადრე ტაიმის დამთავრებამდე ტფილისის გუნდი დაჯარიმდა 11 მეტრიანი დარტყმით. კიეველები სარგებლობენ ამ შემთხვევით და აქვითებენ მეორე ბურთს. შეჯიბრება დამთავრდა ტფილისის გუნდის გამარჯვებით 3:2.

კიევის გუნდში თავმოყრილი არიან ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც დიდი ხალისით და მონდომებით თამაშობენ. მათ შორის გამოირჩევა თავისი მკაფიო თამაშით მეკარე, რომელმაც ტფილისელებთან შეჯიბრების დროს რამდენიმე „მკვდარი" ბურთი დაიჭირა და მარცხენა გარე-მარბი.

ტფილისში ჩამოსვლამდე კიეველებს ორი შეჯიბრება ჰქონდათ სოხუმში და ორივე მოიგეს (7:1 და 5:1).

პატარა ფელეტონი

დახავსებული მოხელეები

პატივცემული ტფილისელი ნოტარიუსი ღლონტი, რომელსაც, პაპანაქება სიცხის მიუხედავად, გახამებული პერანგი და შავი სერთუკი ეცვა, იჯდა თავის კაბინეტში და ხარბად ყლაპავდა გამაგრილებელ მაწონს.

ნოტარიუსი მოწყენილი იყო... მთელი დღე გადის და მის კანტორაში ერთი სახეირო კლიენტიც არ შემოსულა. სიცხეა. აბა რა საქმის გაკეთება შეიძლება?

უცბად გაიღო კარი და კაბინეტში შემოხრიალდა დარდიმანდი კაცი, მოიხადა ქუდი და თავაზიანად მიესალმა.

— თქვენ ბრძანდებით სახელგანთქმული ნოტარიუსი ღლონტი? დიდად სასიამოვნოა. ნება მიბოძეთ გაგეცნოთ. კოკვაძე... მელქისედეკ გლახოხაძე კოკვაძე. აუცილებლად დღესვე უნდა შემიმოწმოთ ორი მინდობილობა.

ნოტარიუსმა დარბაისლური თავაზიანობით გაიკეთა სათვალეები და მედიდურად აიღო სახელმწიფო ღერბიანი ქაღალდები.

— უნდა იცოდეთ,—წარმოსთქვა მან,— რომ ნოტარიუსის მაღალი დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რომ აქტების დამოწმების დროს მისცეს მათ იურიდიული სიმტკიცის ხასიათი. მოდით აუჩქარებლად წავიკითხოთ თქვენი ქაღალდები. ამასთანავე იცოდეთ, რომ ჩვენ ვალდებული ვართ აქტის კანონიერება შევაფასოთ არა მარტო გარეგნული ნიშნებით (ხომ არ არის რაიმე ლაქა), არამედ შინაგანი აზრითაც, ამასთანავე დავრწმუნდეთ — ხომ არ არის ეს დოკუმენტი შედგენილი კანონის საწინააღმდეგოდ.

ერთ მინდობილობაში ნათქვამი იყო:

„მელქისედეკ გლახოხძე კოკვაძეს მინდობილი აქვს მართოს და განაგოს ამხანაგობის კუთვნილი მთელი ქონება: გაჰყიდოს, დააგიროს მთელი ქონება სრული შემადგენლობით, აიღოს სესხი თავისი პირადი შეხედულებით ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივ, კერძო, ადგილობრივ და უცხოეთის საკრედიტო დაწესებულებებში და კერძო პირებისაგან, შეადგინოს აქტები საჯარო ვაჭრობით დარჩენილ მამულების დაუფლების შესახებ და ხელი მოაწეროს მათ".

— ყველაფერი რიგზეა და სავსებით ეთანხმება კანონს — ჩაიქნია თავი ნოტარიუსმა.—ვნახოთ მეორე მინდობილობა.

„...აიღოს ფულადი სესხი თავისი პირადი შეხედულებით, ჰქონდეს მსვლელობა უკლებლივ ყველა საბაჟოში, აღძრას შუამდგომლობა ყველა ინსტანციაში, უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებათა გამოუკლებლად, ყველა უწყებების და სახელწოდების თანამდებობის პირებთან, აგრეთვე უცხოეთის საკონსულოებსა და მისიებში".

— მოგილოცავთ, მელქისედეკ გლახოხძევ, მაღალ ნდობას, რომელიც ამ აქტებშია გამოხატული,—წარმოსთქვა ნოტარიუსმა, წამოდგა და იქვე სიტყვის გაუგრძელებლად დაამოწმა ორივე მინდობილობა.

და მოხდა ეს უკანასკნელი ამბავი მიუხედავად იმისა, რომ ღლონტი თურმე ნუ იტყვით, არის არა „ბატონი ნოტარიუსი", არამედ „ამხანაგი ნოტარიუსი" და, უნდა ვიფიქროთ, ატარებს არა სერთუკს, არამედ აპაშ-პერანგს და ზის საბჭოთა სანოტარო კანტორაში საბჭოთა ამიერ-კავკასიის დედაქალაქში.

სახელდობრივ, კოკვაძე შედარებით წვრილფეხა ჟულიკი აღმოჩნდა, შედარებით მცირე მასშტაბის და გაქანების ფრინველი. იგი მიფრინდა მხოლოდ უკანონო ოპერაციებამდე, გაჰყიდა ხე-ტყე მის მიერ ყაზანსა, ბრიანსკსა და მოსკოვში უკანონოდ გახსნილ კანტორებში. კოკვაძემ „მოსბალღვინტრესტისაგან" მითიური ხე-ტყისათვის მიიღო შედარებით უმნიშვნელო თანხა 65 ათასი მანეთი.

რა თქმა უნდა, „მოსბალღვინტრესტს" არ უნახავს არც ხე-ტყე, არც ფული...

ვინ შეაიარაღა კოკვაძე ამ მინდობილობებით—სახელმწიფო სალაროს გასაღებებით?

პირველ მინდობილობას ხელს აწერს შინამრეწველთა ტფილისის რომელიღაც ამხანაგობა „სოფლის მუშა", მეორე მინდობილობას ხელს აწერს ტფილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ფანცულაია. ამ დოკუმენტით კოკვაძეს მთელი ტფილისის გაყიდვაც კი შეეძლო.

ჩვენ არ ვიცით, რითი ხელმძღვანელობდა ტფილისის საქალაქო საბჭო, როცა ასეთ რწმუნების საბუთს ვიღაც არამზადას აძლევდა. მაგრამ უნებურად გვებადება ეჭვი:

— როგორ შეიძლება საბჭოთა დაწესებულება—ვუწოდოთ იმ სანოტარო კანტორას, რომელშიაც ყოველგვარი დახავსებული ანდერძი დაუსჯელად შეიძლება გააფორმო სახელმწიფო ბეჭდით?

ვ. ხანდროსი

16 აგვისტოს „პრავდა".

გამგეობამ შესცვალა საზოგადო კრება

(კოლმეურნის წერილი)

სენაკის რაიონის სოფ. მენჯის ამხ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში ვერ იქნა და დღემდე ვერ მოეგვარდა საერთო კრებების მოწვევისა და ჩატარების საქმე. აგერ მესამე თვეა აქ კოლმეურნეობის საერთო კრება არ მოუწვევიათ. იწვევენ მხოლოდ გამგეობის სხდომებს და იქ ატარებენ იმ საკითხებს, რომელიც უნდა მტკიცდებოდეს საზოგადო კრებაზე.

ამას წინად კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე გაირჩა კოლმეურნე ბორის ცეკვავას კოლმეურნეობიდან გარიცხვის საკითხი. ეს გარიცხვა გამგეობამ გაატარა 6 აგვისტოს. დადგენილება სისრულეში მოყვანილია, ხოლო ჯერ გატარებული არ არის კოლმეურნეობის საერთო კრებაზე.

ამგვარად, ჩვენს კოლმეურნეობაში აშკარად ირღვევა საკოლმეურნეო დემოკრატია და არტელის წესდება იმის შესახებ, რომ წევრთა გარიცხვა და მიღება წარმოებდეს საზოგადო კრების დასტურით.

საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება რაიმიწგანმა და სათანადო პასუხი მოსთხოვოს გამგეობის თავმჯდომარეს ბიქტორ ლომაიას, რომელიც თავს არ იწუხებს წესდებით გათვალისწინებულ საკითხების საზოგადო კრებაზე გატარებისათვის.

პ. ჟურაშვილი

რკინისგზის ტრანსპორტის გაჯანსაღებისათვის წარმოებულ სამაგალითო მუშაობისა და მარცხებთან ენერგიული ბრძოლისათვის, საბჭოთა კავშირის ცეკამ ორდენებით დააჯილდოვა რკინისგზის ტრანსპორტის მთელი რიგი მუშაკები.

დაჯილდოვებულთა შორის არიან ა.-კ. რკინის გზის წარჩინებული ადამიანები ამხ. ვასო გაფრინდაშვილი, მინას დილანიანი და რამაზან ალიევი.

სურათზე: შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვებული ამხ. ვ. გაფრინდაშვილი თავის ელექტრომავალთან ვლ—1925.

საბურთალო

ძველი საბურთალო თავისი ულაზათო შენობებით, ოღრო-ჩოღრო, მოუვლელი ქუჩებითა და ჩამწკრივებული სამიკიტნოებით უფერულად ატარებდა დღეებს. ის წინათ იყო, უკულმართ დროს, როდესაც მძიმე ლოდად აწვა მუშათა მასებს.

რაკი საბურთალო მუშათა უბანი იყო, ამიტომ მაშინ მის კეთილმოწყობაზე არა ზრუნავდნენ.

მოვიდა ახალი ცხოვრება, მოიტანა სიხარული, ბედნიერება. ტფილისმა სახე იცვალა. განახლების ტალღა საბურთალოსაც მოჰხვდა, აშენდა მუშათა უბნები, ახალი ამბულატორია, გალამაზდა საქ. სამხედრო გზა, ქუჩები...

მაგრამ საბურთალოზე ყველაფერი რიგზე არ არის. წარსულის ერთი ლაქა საბურთალოს დღემდე ვერ მოუშორებია — ეს არის სამიკიტნოები, ლოთობა, ჩხუბი, დანების ტრიალი. ხულიგნები საბურთალოზე თავს არხეინად გრძნობენ. თითქმის ყოველდღე ჩხუბი და ყიალ-მაყალია. ამას წინათ შეუვარდნენ პურის გამყიდველ არჩილ ულიაშვილს და იქაურობა დაუმტვრიეს. შოფერი კინაღამ დანით მოჰკლეს.

ორჯონიკიძის რაისაბჭო შეუწყნარებელ უყურადღებობას იჩენს საბურთალოს კეთილმოწყობის საქმეში. აქ პურის 2 წერტი და 2 კოოპერატივია მხოლოდ. არ არის ხორცის, მწვანილის, კარტოფილის სავაჭროები. ამიტომ კერძო მეჭუქნეები ძველებურად ტყავს აძრობენ მშრომელებს.

ორჯონიკიძის რაისაბჭო საბურთალოს ამომრჩევლებს დაჰპირდა სავაჭროების გახსნას, ის განაწესშიც შეიტანეს, მაგრამ მალე დაივიწყეს. არსებული კოოპერატივები ვერ აკმაყოფილებენ მომხმარებელთა მოთხოვნილებას.

ალმასიანის ქუჩის მოასფალტება სამი თვეა დაიწყეს და დღემდე ბოლო არ უჩანს. მოიტანეს მიწა და ქუჩის გასწვრივ დაჰყარეს, ავდარში გაუვალი ტალახი დგება.

საბურთალოს კეთილმოწყობას მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ს. ხვამლელი.

დ. ბადრიძის კონცერტი

ერთი წლის წინათ დ. ბადრიძემ დასტოვა ტფილისი. ბუნებრივად იბადება კითხვა — რა გააკეთა მომღერალმა ამ ერთი წლის განმავლობაში, რა მიღწევები მოიპოვა? ამ მხრივ მის კონცერტს, რომელიც 13 აგვისტოს გაიმართა მუსიკ-ჰოლის თეატრში, ერთგვარად საანგარიშო ხასიათი ჰქონდა.

კონცერტმა გვიჩვენა, რომ დ. ბადრიძე, როგორც მომღერალი, ამ ერთი წლის განმავლობაში უდაოდ გაზრდილა. მისი შესანიშნავი ლირიკული ტენორი ახლა უფრო სასიამოვნოდ ჟღერს, მას მეტი მოქნილობა შეუძენია, ხოლო მთელი შესრულება ახლა უფრო დახვეწილი და დამუშავებულია.

დ. ბადრიძე სავსებით ჰფლობს ვოკალური მხატვრული შესრულების ჩვეულებრივ ხერხებს, მაგრამ მის სიმღერაში ყველაზე უფრო მიმზიდველია სინაზე. სუფთა პიანო, ლამაზი ფალცეტი ოსტატურად ბგერის მის შესრულებულ ყველა ნაწარმოებში, კერძოდ იტალიურ არიებსა და რომანსებში, რომელთა დამახასიათებელი რიტმიკა და სიმსუბუქე განსაკუთრებით ეხერხება მომღერალს.

შესანიშნავად შეასრულა მომღერალმა არია ოპერიდან „ვერტერი", ურმული დ. არაყიშვილის ოპერიდან „შოთა რუსთაველი", ჰერცოგის არია „რიგოლეტოდან", რომანსები „ო, მარი", „ვენეციელე", „მიმღერე" და სხვა.

მომღერალს დიდი წარმატება ჰქონდა. სავსე აუდიტორიამ გულთბილად მიიღო და გააცილა დ. ბადრიძე, საკავშირო ასპარეზზე გამოსული მომღერალი, რომლის არტისტული კარიერის პირველი წლები ჩვენს თვალწინ მიმდინარეობდა ტფილისის საოპერო თეატრის სცენაზე.

დ. ბადრიძე კიდევ ორი კონცერტით გამოვა ტფილისში.

შემთხვევები

ქურდის დაპატიმრება. სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა ბ. ი. სოკოლოვი, რომელსაც ბაშკირეთის რაიონული მილიცია ეძებდა 3.000 მანეთის ქურდობისათვის.

მცირეწლოვანი ჯიბგირი. მოქ. აბდულ ასკერ-ოღლის ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალეს 500 მანეთი. ბოროტმოქმედი 13 წლის მ. ა. არაქელოვი (ფაზბიევის ქ. № 13) შეიპყრეს.

მდგომარეობა გერმანიაში

ვენა, 15 აგვისტო. კანცლერ-შუშნიგთან დაახლოებული „**ნოი-გზაიტეველტბლატის**" ბერლინელი კორესპონდენტი, იმყარებს რა დიპლომატიურ წრეებიდან მიღებულ ცნობებს, იუწყება, რომ „ბერლინში სერიოზულად ფიქრობენ, რომ ამ უახლოეს კვირეებში რეიხსვერის დიქტატურა გამოცხადდებაო".

„პოლიტიკური და ეკონომიური წინააღმდეგობანი — სწერს კორესპონდენტი, — და მათგან გამომდინარე საყოველთაო შეშფოთება მთელ ქვეყანაში იმდენად გამწვავდა, რომ ერთადერთ გამოსავალს იმ უაღრესად გაძნელებულ მდგომარეობიდან, რომელშიაც გერმანიის მთავრობა ჩავარდა, რეიხსვერის დიქტატურის დამყარებაში ხედავენ. რეიხსვერის ხელმძღვანელ წრეებში და, უწინარეს ყოვლისა, გენერალურ შტაბში გამეფებულია ის აზრი, რომ რეიხსვერს ამიერიდან არ შეუძლია დარჩეს პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩაურევლობის პოზიციაზე და გულგრილად უყუროს იმას, თუ როგორ ვითარდება ისეთი ამბები, რომელიც ქვეყანას აუცილებელ კატასტროფისაკენ მიაქანებს".

კორესპონდენტი ხაზს უსვამს, რომ რეიხსვერის ხელმძღვანელ წრეებში ამჩნევენ საყოველთაო უკმაყოფილობის გაძლიერებას, რაც გამოიხატება გლეხობის გამოსვლებში, ნაციონალ - სოციალისტებსა და კათოლიკებს შორის ბრძოლის გამწვავებაში და განსაკუთრებით კომუნისტური მოძრაობის მნიშვნელოვან ზრდაში". კორესპონდენტი სწერს, რომ ამ უკანასკნელ დღეებში კომუნისტებმა გერმანიის ცალკეულ რაიონებში თითქმის აშკარად გააჩაღეს თავისი პროპაგანდა. ქვანახშირისა და მეტალურგიული ინდუსტრიის ცალკეულ საწარმოებში ნაციონალ - სოციალისტური ორგანიზაციის განცხადებათა დაფებზე აკრავდნენ კომუნისტურ ფურცლებს. ნაციონალ - სოციალისტურ ხელმძღვანელთა მოთხოვნით ფურცლების მოხსნა თითქმის ყველგან მწვავე კონფლიქტებს იწვევდა (ადს)

გერმანია და იტალიის საკოლონიო ექსპანსია

ვენა, 14 აგვისტო. „რეიხსპოსტის" რომაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ რომის პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ გერმანიის პრესის ტონის დამახასიათებელ შეცვლას. გერმანიის პრესა, „ზემოდან მიღებული ბრძანებით, იწყებს იტალიის კოლონიური პრეტენზიების გაგებას აღმოსავლეთ-აფრიკაში". ის გარემოება, რომ „გერმანია მხარს უჭერს იტალიის გეგმებს აღმოსავლეთ-აფრიკაში, აგრეთვე გერმანიის ზოგიერთი წინადადება იტალიისადმი სამეურნეო დარგში, — სწერს კორესპონდენტი,—ეჭვებს იწვევს რომში, რომ გერმანიას სურს იტალიის ყურადღება მაქსიმალურად მიაპყროს აბისინიას, რათა თვითონ ხელფეხი გაეხსნას ცენტრალურ ევროპაში" (ადს).

კომუნისტური მოძრაობა შენსის პროვინციაში

ბეიპინი, 25 ივლისი. ივლისის 20 რიცხვებში ჩინეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა შენსიში მოიწვიეს მთელი რიგი გენერლების კონფერენცია, სადაც უნდა განეხილათ ღონისძიებანი შენსის კომუნისტური მოძრაობის ჩასაქრობად.

იანსი - შანმა განაცხადა: „კომუნისტურ რეჟიმზე მოქცეულია 700.000 გლეხი. წითელ არმიაში ითვლება 100 ათასი კაცი, წითელ გვარდიაში — 200 ათასიო".

გაზეთი „იჟნბაო" ეხება რა ჩრდილოეთ შენსის კომუნისტურ მოძრაობას, სწერს, საბჭოთა რაიონების გაფართოებას „ყამირის გატეხას" ეძახიანო. „ყამირის გასატეხად" გამოყვანილი რაზმები, — სწერს გაზეთი, — უწინარეს ყოვლისა ფარულად აკავშირებენ წინასწარ გათვალისწინებული სოფლების ღარიბებს. გადატრიალების შემდეგ სოფელში სწვავენ საადგილ მამულო საბუთებს, ისპობა ღარიბთა დავალიანება, მდიდართა მიწები, აგრეთვე მემამულეთა და კულაკთა მოძრავი ქონება ურიგდებათ ღარიბებს. კულაკებსა და მემამულეთ ძალით „ამუშავებენ" იან სი-შანმა აღნიშნა, რომ კომუნისტებმა ისე გააფართოვეს თავისი გავლენის სფერო, რომ იარაღიც კი არ უხმარიათო. (ადს).

ოქტომბერი 7, 9, 11	ხმოვანი ფილმი **შიგ პარიზში**
დამკვრელი (საზ.-საზამთ.) 6-30, 8, 9-30, 11	მხატვრული ფილმი **ფუნთუშა** გიუ დე-მოპასანის მოთხრობის მიხედვით.
ტემპი (საზაფხ.) ხმოვანი 9, 11	ხმოვანი ფილმი **სიკვდილის კონვეიერი**
რ. ლიუქსემბურგის სახ. 7, 9, 11	ხმოვანი ფილმი **წმ. იორგენის დღესასწაული** პროგრამის გარეშე—**დღე ბათუმში**
ეთერი (საზაფხ.) 9. 10-30	მხატვრული სურათი **მიყვარხარ?**
„26"-ის კომ. სახ. 7, 8-30, 10	საზაფხ.—მხატვრ. ფილმი **გიული** საზამთ.—ხმოვ. **სენსაციის დაღუპვა**
კომინტერნი საზაფხ. (დიდუბეში) 9, 10-15	მხატვრ. ფილმი **ცოცხალი ღმერთი**

1. ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მისაღებ გამოცდებზე დასაშვებ პირთა შემრჩევი სამანდატო კომისიის სხდომები იწარმოებს ყოველდღიურად ა-წ. 17 აგვისტოდან 21 აგვისტომდე, დილის 9—3-მდე და საღამოს 7—11 საათამდე. სამანდატო კომისიის წევრების დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.
2. მისაღები გამოცდები იწარმოებს 25 აგვისტოდან 5 სექტემბრამდე უნივერსიტეტში (უნივერსიტეტის ქ. № 1).
3. საგამოცდო კომისიის წევრებს ევალებათ გამოცხადდნენ უნივერსიტეტში 23 აგვისტოსათვის.

ბ. 271 **ტფილისის სახელმწ. უნივერსიტეტი.**

„საქვაჭრობა"-მ

1-ლ აგვისტოდან გახსნა 19 თებერვლის ქ. № 80-ზე

სარემონტო-საშენ მასალათა მაღაზია № 6.

მოქალაქეებს შეუძლიათ შეიძინონ მაღაზიაში ბინების სარემონტოდ ყველა საჭირო სარემონტო - საშენი მასალა: ლურსმნები, ფანჯრის მინა, ოლიფა, საღებავი, ლაქი, სახურავი რკინა, ელექტრო ძასალა. ცემენტი, ცარცი, ალებასტრი. ტოლე, კირი, ფირფიტ-ცარი (ფანერა), მპალერი, კლიტე-გასაღები, ურდული და სხვა. 12—10 359

ტფილისის სახელმწიფო სანიმუშო უნივერსალურ მაღაზიას

ესაჭიროება კვალიფიციური გამყიდველები

მანუფაქტურის, ჭურჭლეულობის, გალანტერეიას და მზა ტანსაცმელის.

მიმართეთ—ტფილისი, ძორესის ქ. № 7—კადრების განყოფილებას.

387 2—1 დირექცია.

იყიდება სასწრაფოდ

საბეჭდი მანქანა

ქართული შრიფტით, „მერსედესი", გაშლილი ფორმატით მისამართი: მაჩაბლის ქ. № 13, ნახვა დღის 10 საათიდან 4 საათამდე.

9175

დამწუხრებული მეუღლე მატრონა, შვილი მალვა, რძალი ელენე, შვილიშვილები: მედეა, ოლივია იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და საყვარელი

ნიკიფორე მოსეს-ძე ჯანელიძე

დაკრძალვა ქუთაისში 18 აგვისტოს. 5 ს. ი. წერეთლის ქ. № 8. 9187

ექიმი აპოლონ ისაკის-ძე მესხი მეუღლით თამარი, შვილებით: თენგიზ, ანასტასია აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი მამა და ბაბუა

ნიკიფორე მოსეს-ძე ჯანელიძე

დაკრძალვა ქუთაისში, 18 აგვისტოს, 5 ს. ი. წერეთლის ქ. № 8. 9188

აბასთუმნის საკურორტო სამმართველოს თანამშრომლები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ კურორტ აბასთუმანში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი თანამშრომელი

ექ. ივანე პეტრეს-ძე ბუკია. 9194

ორჯონიკიძის სახელობის დამცველთა კოლექტივის გამგეობა თანაგრძნობას უცხადებს გამგეობის წევრს მელქისედეკ კანდელაკის მამის

სპირიდონის

გარდაცვალების გამო. 9193

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. №34. ტელეფონები რედაქტორის 8—62—26, რედაქტორის მოადგილის 8—63—03, პასუხისმგებელი მდივნის 8—08—67, სამდივნოს 8—06—88, მასობრივი განყოფილების 8—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 8—57—61, სამრეწველო განყოფილების—8—78—40, სტამბის 8—37—04, გამომცემლობის—8—61—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი" კამოს ქ. № 68 მთავლიტის რწმუნებული 8472.